

შეკრიკი

გაზეთი თავის მიზნით ისახავს—ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის კლასიურ ინტერესების დაცვას.

კანონიერი დემა აღარ არსებობს... ქუთაისი სამშაბათი, 11 ივლისი. 1906 წელაწადი ჰარველი. ცალკე № 3 კაპ.

№ 2. ყოველ-ღლიური გაზეთი № 2.

1906 წლის 9 ივლისიდან გამოდის ყოველ-ღლიური საბოლივიკო და სალიბერალური გაზეთი

„შეკრიკი“

გაზეთის ფასი: 1 წლით 3 მ., 6 თვით 2 მ., 3 თვით 1 მ., (ცალკე № 3 კაპ.) განცხადების ფასი: პირველ გვერზე პერიკლიტი 15 კ. მეორეზე—10 კ. რედაქცია მოთავსებულია ბალახანის ქუჩაზე, ალ. მგვიძის სახლებში № 5.

ფოსტის აღრესი: Кутаись редакция „Шикрики“

ქუთაისში, მესხეთის ქუჩაზე № 7 ახლათ გაიხსნა მუსიკალური სახელოსნო.

მანსუკამისა,

სადაც ხელ-საყრელ ფასებში იყიდება სკრიპკები, გიტარები, მანდალინები და ბალალაიკები საკუთარი ხელობისა. იქვე მიიღება ზემოხსენებული „ინსტრუმენტები“ შესაკეთებლად. (2—2).

მანიფესტი.

წყალობითა ღვთისათა ჩვენ ნიკოლოზ II, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა დიდი მთავარი ფილიანდიისა და სხვ. და სხვ.

ვუცხადებთ ყველა ჩვენ ქვემარტ ქვეშევრდომთ: ნებითა ჩვენითა მოწვეულ იყვნენ კანონმდებლობით აღშენებისთვის პირები, არჩეული მცხოვრებლები-საგან. მტკიცეთ ვამყარებდით რა იმედს წყალობათა ღვთისაზე, გვრწამდა რა ბრწყინვალე მოძავალი ჩვენი ხალხისა, ჩვენ ველოდითა მოღვაწეთაგან სარგებლობას ქვეყნისათვის ხალხთა ცხოვრების ყოველ დარგში, ჩვენ ავლენსხეთ რთული ცვლილებები, უპირველეს ადგილზე დავაყენეთ უმთავრესი ღვაწლი ხალხში სიბნელის გაფანტვა განათლებით და ხალხთა ჭირ-ვარამის განკურნება მიწათფლობელობის პირობათა შეცვლით. საუბედუროთ ჩვენი მოლოდინი განქარწყლდა, ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლებმა კანონმდებლობითი მუშაობის მაგივრათ, გადაუხვიეს გზას და მოკიდდეს ხელი მათთვის არ მიკუთნებულ დარგს, შეუდგენ რა გამოკვლევას მოქმედებათა ჩვენ მიერ არჩეულ და დაყენებულ მთავრობათა, გვიჩვენებდენ რა ძირითად კანონების ნაკლზე, რომელთა შეცვლა დამოკიდებულია ჩვენზე. ამით ისინი არ

დაკმაყოფილდენ: ხალხის წარმომადგენლებმა არა კანონიერათ მიმართეს ხალხს სათათბიროს სახელით. ასეთი არე-დარე-ვით შეცდომაში შეყვანილი გლოხობა, აღარ ელოდა რა კანონიერათ თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას, მთელ რიგ გუბერნიებში მიმართა სხვის უძრავ-მოძრავ ცარცვა-გლეჯას ქონებისა, გლეხობა არ ემორჩილება არსებულ კანონს და წინააღმდეგობას უწევს კანონიერ მთავრობას, მაგრამ იცოდენ ჩვენმა ქვეშევრდომებმა, რომ მხოლოდ სრულ წესწყობილების და მშვიდობიანობის დროს შესაძლებელია ხალხის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება. იცოდენ ყველამ, რომ ჩვენ ავლავდით ყოველგვარ თვითნებობას და არსებულ კანონების დარღვევას და მთელი სახელმწიფოებრივი ძალით ვაიძულებთ კანონის უარის მყოფელთ დაემორჩილონ ჩვენ მეფურ ნებას. მოვუწოდებთ ყველა კეთილმოაზრეთ რუსეთის ხალხისა შეერთდენ არსებულ კანონიერ უფლებების მხარის დასაჭერათ. რათა დამყარდეს მყუდროება და სიმშვიდე რუსეთში და დაგვეხმაროს უფალი განსახორციელებლათ უმთავრეს სამეფო შრომათა ჩვენთა, გაუმჯობესობაში გლეხთა კეთილმდგომარეობისა. რაისათვისაც ნება ჩვენი შეუდრეკელია და მხენელ-მთხველი რუსეთის, სხვისი მფლობელობის შეუბღალავათ, მიიღებს შეძლებას იქ, სადაც თვალსაჩინოთ საგრძნობელია უადგილობა, კანონიერ და პატიოსანი საშვალე-ბით გააფართოვოს თვისი ადგილ ფლობელობა. სხვა წოდებათა წარმომადგენელი, მტკიცეთ გვრწამს, დაგვეხმარებინ თვისი მთელი ძალით ზემოთ მოყვანილ სურვილის განსახორციელებლათ, რის საბოლოოვო გადაწყვეტა მიეკუთვნება კანონმდებლებითი წესით მერმისში შემდგარ სათათბიროს. ვამტკიცებთ

მასთანავე, რომ ჩვენი შეურყეველი გადაწყვეტილება დარჩება ჩვენთვის კანონათ და ერთდროულათ ამ გადაწყვეტილებასთან ჩვენი უქაზით უმართებელეს სენატისადმი, ბოძებულს 9 ივლის 1906 წელს, დაენიშნეთ ვადა ახალი სათათბიროს შესადგენათ 20 თებერვალი 1907 წელი. შეურყეველი რწმენით აღჭურვილი წყალობითა ღვთისათა და კეთილგონიერებათა რუსეთის ხალხისადმი, ჩვენ იმედი გვქვინება, რომ მომავალში ახლათ შედგენილი სახელმწიფო სათათბირო. მოიყვანს სისრულეში ჩვენთა კეთილსურველთა და შეიტანს რუსეთის კანონმდებ-ლებაში, განახლებულ რუსეთის მოთხოვნილებსადავარათ, შესაფერ მუხლებს. რუსეთის ქვეშარტონო შეიღნო, მეფე თქვენნი მოგიწოდებსთ თქვენ, როგორც კეთილი მამა თავის შვილებს, შეთანხმდეთ მასთან განახლების და ასაყვავებელ წმიდა სამშობლოს საქმეში!! გვრწამს გამოჩნდებიან და დაიბადებიან მდიდარი აზრისანი და საქმენი მათი თავდავიწყებამდის მისული შრომით გაბრწყინდება დიდება ჩვენი საერთო ქვეყნის.

ბოძებულია პეტერგოფში 9 ივლის დაბადებიდგან იოსესი 1906 წელს და ჩვენი მეფობის მე 12 წელს. ნამდვილზე საკუთარის მის უდიდებულესობის ხელით აწერია. ნაკადლოზ.

ქუთაისი, 10 ივლისი.

დებეშებმა ამბავი მოგვიტანეს სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შესახებ. 27 აპრილს მეფემ სათათბიროს წევრებს „საუკეთესო გვამნი“ უწოდა, 8 ივლისს კი თავიდან მოიცილა. რა დანაშაული მიუძღვით დებუტატებს გორემიკინის სამინისტროს და კამარილიას წინაშე, რომ ასე სასტიკათ მოექცენ მათ? თითქმის არაფერი; თამამათ შეიძლება ვთქვათ, რომ დანაშაული თუ მიუძღვით დებუტატებს ვინმესთან, ეს უფრო ხალხს წინაშე. იმათ ვერ გამოიჩინეს შესაფერი სითამამე ყოვლად გახრწნილ მთავრობის შესახებ, იმათ ვერ მისცენ ის პირველ დღესვე პასუხის გებაში. სათათბირო მეტის ზორიდებით ექცეოდა მინისტრებს, იტანდა მათგან ერთს შეურაცყოფას მეორეზე. ჯერ კიდევ პეტერბურგში ფეხი არ შეედგათ, რომ სადგურებზე მათ ჩხრეკა დაუწყეს. 14 დებუტატი მუშა პროლეტარიატისადმი მოწოდებით მი-

მართვისათვის პასუხის გებაში მიცეს, დებუტატი ულიანოვი პასუხის გებაში მიცეს ღ თან ხელწერილი ჩამოართვის პეტერბურგიდან არ გახვიდო. ამ რიგათ მოექცენ დებუტატს პროფესორ მაქსიმ კოვალევსკის. დებუტატ სედილინიკოვს პოლიციელებმა ცემეს. ასე ექცეოდენ თვითეულს და მთელ ჯგუფს დებუტატებისას. არ ერიდებოდენ მთელ სათათბიროსაც. სიკვდილით დასჯის შესახებ სამინისტროში შეკითხვა შეკითხვაზე შედიოდა; სამინისტრო ყურსაც არ აბარტყუნებდა. სრულიათ გულდამშვიდებით განაგრძობდა თავის ჯალათურ მოქმედებას. მთელმა სათათბირომ ერთხმათ სიკვდილით დასჯა მოსპო; მეორე თუ მესამე დღეს ეშაფატზე აიყვანეს პოლიტიკური დამნაშავე და ჩამოარჩვეს. აბა რამ გააშწარა? გაკვირვებით ვკითხვით თქვენ. მთავრობამ დებუტატების მიერ წამოყენებულ ბრალდებებს ყურიც არ ათხოვა, ის გულგრილათ იტანდა ჯალათის და კაცის მკვლელობის სახელწოდებას; ის, როცა დებუტატები ქურდის სახელით ნათლავდენ, დღუმდა. მაგრამ სულ სხვანაირათ მოიქცა, როდესაც სათათბირომ ხალხისაგან პატარაწაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა. ეს ნაბიჯი თვით მთავრობისაგან იყო გამოწვეული; მან სათათბიროს წინააღმდეგ აგიტაციის გაწევას შეუდგა და ხალხს ცალკე განცხადებაში მიწები დაპირდა. მთავრობა ამგვარი მოქმედებით სათათბიროს სახელს უტყნთა ხალხის თვალში; კამარილია მას უფლებას ართმევდა და თვითონ დებულობდა თავის თავზე კანონმდებლობას. ამას ზოგიერთი ზომიერი წევრებიც სათათბიროსი აღშფოთებით შეხვდენ; სათათბირომ გადაწყვიტა მთავრობის საწინააღმდეგო განცხადების გამოშვება. აი რამ მოუწამლა გული კამარილიას, რამ დაურღვია მას მყუდროება. სათათბიროს ამ გვარ ნაბიჯში მან დაინახა საკუთარი უფლების შელახვა და მიმართა უკიდურეს საშვალეებს: სათათბირო დაიხთოვა.

სათათბიროს ნაბიჯი ხალხისკენ გადადგმული, თუმცა მთავრობის თვალში დიდი რამ გამოდგა, მაგრამ ნამდვილათ კი ძლიერ სუსტი და მკრთალი რამ არის. ის თითქმის არაფერს არ ეუბნება ხალხს; სინამდვილის ერთი მესაედიც არ არის შიგნათქვამი. განცხადება ცრუ იმედებს უძრავს ხალხს მიწის კითხვის დაკმაყოფილებაში. ჩვენმა სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ და მშრომელთა ჯგუფმაც პროტესტი განუცხადა დუმის უმრავლესობას ხალხის წინაშე სიმართლის გადაფუჩჩებისა-

თვის და კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

8 ივლისიდან სათათბირო კანონს გარეშეთ არის გამოცხადებული. როგორი უნდა იყოს მისი მოქმედება და ჩვენი ტაქტიკა ამ ჟამათ? აშკარაა მთავრობას სწადია შეურიგებელი პროლეტარიატის განცალკევება და მისი სისხლით მორწყვა ქუჩების და მოედნების. ჩვენ კი უნდა ვეცადოთ, რომ რეაქცია დარჩეს განმარტოებული, ისე, როგორც ამ ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში იყო იგი; ჩვენ გაათკეცებულ ვენერგიით უნდა შევეცადოთ, ყოველი მისი მოქმედების გამოაშკარავებას და ფართოთ მასის გააცნობას. ამ მიზნის მისაღწევად კიდევ სახელმწიფო სათათბირო იქნებოდა ჩვენთვის გამოსადეგი. რაც უნდა ილაპარაკონ ბოიკოტის ტემბა, დღეს ყველასთვის ცხადია, რომ სათათბირო შეიქნა საუკეთესო საორგანიზაციო და სარევოლიუციონერო ცენტრათ მთელი რუსეთისათვის. ის გადაიქცა საუკეთესო ტრიბუნათ ჩვენი დებუტატების მეოხებით. მაშ ჩვენ დანტერესებული უნდა ვიყოთ, რომ სათათბირომ განაგრძოს თავის არსებობა. ნათქვამია რომ სიტყვა კაცს ავალეხსო. როცა დებუტატებს ირჩევდა ხალხი მათ აბარებდა: მიწა და თავისუფლება, თუ არა, შინ ცოცხალი არ დაბრუნდეთო. ეს სიტყვები უნდა ახსოვდეს კარგათმთელ სათათბიროს, თუ სურს ხალხის სიმპატია დაიმსახუროს და არ უღალატოს თავის დაპირებას. „მხოლოდ ტლანქი ძალა გვაძლულებს ჩვენ აქედან წასვლასო“ - კაოგათ მოიგონონ ეს სიტყვებიც დებუტატებმა. ეს სიტყვები მათ ავალეხთ განაგრძონ მუშაობა მიუხედავად ყოველ-გვარ დაბრკოლებათა. დეე განთეს ამ ჟამათ მათვის ხალხის სურვილი კანონათ და ყოველი ნაბიჯი მათგან ფეოდალური რეჟიმის მოსპობისაკენ გადადგმული მედგრათ იქნება ხალხისგან მხარ დაჭერილი.

ფელეტონი

დუმის მოღვაწეობა.

8 ივლისს პეტერგოფში ნიკოლოზ II სენატის სახელზე ბრძანება გამოსცა სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შესახებ. ამ დღიდან კანონიერი სახელმწიფო სათათბირო აღარ არსებობს, ერთი კალმის მოსმით ის უკვე გააუქმა მთავრობამ. უნებურათ კითხვა გებადებათ, რა ჩაიდინა ისეთი სათათბირომ, რომ ასეთი რისხვით მოექცენ? ამის გასარკვევას საქიროარი გადავავლოთ თვალი იმ დროს, რომლის განმავლობაში სათათბირო მოქმედობდა, ე. ი. 27 აპრილიდან მოკიდებული 8 ივლისამდის. სანამ ამის განხილვას შეუდგებოდეთ, მოვიხსენიოთ გაკვრით იმის გაჩენის ისტორია. პირველათ შარშან 6 აგვისტოს გამოცხადდა მანიფესტი სათათბიროს მოწვევაზე იმ მანიფესტის ძალით სათათბიროს მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდა, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა მსხვილ მემამულეებს, მსხვილ მრეწველებს, სხვილ ბიუროკრატებს და გლეხთ

ხმა სოფლის მასწავლებელთა მანაკიდან.

ამხანაგებო! რევოლიუციამ და რეაქციამ თვალეხი აგვიხილა და გვიჩვენა მტერ-მოყვარენი. გაიხსენეთ გასული წლის გაზაფხულის ჩვენი კავშირის შედგენილება, გაიხსენეთ ქალაქის ზოგიერთ მასწავლებლების დაპირებანი ჩვენი გაფიცვებში მონაწილეობის მიღებაზე და შემდეგ იმათგან ჩვენი გარიყვა, გარდა I და II პირ. დაწყებით სასწ. მასწავლებელთა, რომლებიც ჩვენთან იყვნენ; ამას თან დაუმატეთ ჩვენი უმეცრება და შეუგნებლობა, საქმის აბუჩათ აგდება და ერთი-ერთმანერთის მიუყოლობა და ჩვენ თვალ წინ დასურათხატდება ის შედეგები, რაც ვიგემეთ დღემდის. როგორც მუშის, ისე ჩვენი პოლიტიკურ-ეკონომიურად განთავისუფლება დამოკიდებულია ჩვენ ენერგიაზე და საქმის შეყვარებაზე, თორემ გარეშე პირები იმდენად დავიკერენ ჩვენ მხარს, რამდენათაც იმათ გემოვნებაზე ვიმოქმედებთ.

პროლეტარიატის მედგარმა, შეუწყვეტელმა ბრძოლამ მოგვიპოვა კავშირების თავისუფლება, თუმცა ამ უკანასკნელს ყოველ ჟამს განსაცდელი მოეღოს; გაიხსენეთ მოსკოვის გრადონაჩაღნიკის ბრძანება კავშირების წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ყოველ-გვარ დაბრკოლებისა, იგივე პროლეტარიატი და წვრილვაჭარ-ხელოსნები იკვრიან, (პროფესის მიხედვით) კავშირებათ და დღეს უკვე უზარმაზარი რუსეთი კავშირებითაა დაქაჰსული, რომელთაც თავისი ცენტრალური დაწესებულებაც და ორგანოც აქვთ პეტერბურგში. ჩვენ კი? ჩვენ წილად გვხვდა ზარმაცობა და ჩვენი თავისუფალ დროს დობაშუკობაში გატარება; გადავავლოთ თვალი გურიაში მყოფ ამხანაგებს, იმათმა უკვე შექმნენ სი

ბის უმკირეს ნაწილს. ამნაირი უკუდლო სათათბიროთი თითქმის არავან დაურჩა მაღლიერი მეფის მთავრობას. მას აქვთ განწათვისუფლებელი მოძრაობა მეტის სიძლიერით წავიდა წინ. ეკენისთვიდან მოკიდებული 17 ოქტომბრამდის რევოლიუციის ტალღები ზევით და ზევით იწვდნ და როდესაც შენიშნა მთავრობამ, რომ კარგათ აღარ არის საქმეო, მაშინ იძულებული გახთა 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით გაეფართოებინა საარჩევნო უფლება, სათათბირო ეცნო საკანონმდებლო დაწესებულებათ და ამასთან ერთათ აღიარებინა თავისუფლება კრების, სიტყვის, კავშირების და პიროვნების ხელშეუხლებლობა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა უფრო ფართო მასას შედარებით 6 აგვისტოსთან, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც ხალხი მოითხოვდა: მდიდარი მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე ღარიბს, აზნაურს ვაჭარზე მეტი, ათას მუშაზე მეტი, ქართველს, პოლონელს, ებრაელს და სომეხს ნაკლები ვიდრე რუსს, ხმა არა პირდაპირი და არა თანასწორი. რევოლიუციონერი პროლეტარიატი ყველაზედ მეტათ გრძნობდა ამ ნაკლს და რაღა საკვირ-

ტყვით და საქმით პროფესიონალური კავშირი და მისთვის შესაფერი ორგანიზაცია, მაგრამ მას, როგორც „Одинъ въ полѣ не вои́нъ“ - ხომ არ შეუძლია ბრძოლა და ჩვენ, როგორც ყველაზე უკან მაჩანჩალებს, ვალად გვდებს, თუ წინამძღვრობა არა, გვერდში მინც ამოვუდგეთ უფრო შეგნებულ ამხანაგებს და მით საერთო უფელი გავსწიოთ.

რომ კავშირი წმინდა იყოს, ყოველ ორჭოფ წვერთაგან, კავშირში უნდა შედიოდნ მხოლოდ სახალხო და საერობო სასწავლებლების მასწავლებლები - ერთ ეკონომიურ-პოლიტიკურ პირობებში მყოფნი, რათა შემდეგში კავშირის საქმე ნაყოფიერად მიიღტვიდეს თავის მიზნისკენ. ცხადია, რომ პროფესიონალური კავშირები თავისი ორგანიზაციებით ზოგიერთ ფარგლებში ავტონომიურად უნდა მოქმედობდნ და ამასთანავე დამოკიდებულება უნდა იქონიონ ცენტრთან, სხვა პროფ. კავშირების მიხედვით, რომ ცუდ და უსარგებლო ლაყობას თავი მივინებდეთ და ზაფხულის დასვენების დღეებს გუბერნიაში კავშირების შექმნას მოვანდომებდეთ და ამისთვის საქირო სახსარს გამოვძებნიდეთ, უფრო ჯობია; როგორც გავიგეთ, ამ თვის 15-16 დანიშნულია სამაზრო საერობო მასწავლებლების კრება, სადაც იმედია დაესწრებიან სახალხო სასწავლებლების მასწავლებლები.

ბაცია.

ახალი ამბები.

გუმინ, 9 ივლისს, სვირის სადგურზე ჟანდარმა უმიზეხოთ დაატყვევა გაზეთის გამყიდველი ეზიკია მემძარიაშვილი, და წაართვა ჩვენი გაზეთის №16, დიდი ხვეწნის და მუდარის შემდეგ, როგორც იყო გა-

ველია, რომ მას ყველაზემეტი ებრძოლა, რათა ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა ყოფილიყო საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორო და ფართული კენჭის ყრით; მთავრობამ დაკმაყოფილების მაგიერ ქუჩაში გამოიწვია მოსკოვის პროლეტარიატი. რომელიც დამარცხდა ორი კვირის ბრძოლის შემდეგ და მერე თითქმის მთელ რუსეთში სამხედრო წესები შემოიღო. თუ რას ნიშნავს სამხედრო წესები ამის ახსნა მეტათ მიგვაჩნია, რადგანაც იანვარში, თებერვალში და მარტში ყველამ კარგათ ვიგემეთ, ორი სიტყვით შეიძლება დავახასიათოთ იგი: ცეცხლი და მახვილი, აი მისი ნიშნობლივი თვისება.

მეფის მთავრობა სწორეთ ამ დროს ნიშნავს სახელმწიფო სათათბიროსთვის არჩევნებს; მისთვის ეს დრო ძლიერ ხელსაყრელი იყო: ყველა რევოლიუციონერი პარტიები ჯურღმულში ჩაძვრენ ისინი კანონს გარეშეთ იყვნენ გამოცხადებული. მხოლოდ ზომიერი პარტიები, როგორიც არიან 17 ოქტომბრის კავშირის წევრები, უფლებრივი წესიერების და კადეტები დარჩენ კანონის მფარველობის ქვეშ; არჩევნებზე გაიმარჯვეს

ზეთის გამყიდველი გაანთავისუფლა და დაუბრუნა გაზეთის №16. ვერ გავიგია რად ეს პირობები და ბატონ წესიერების დასტურებას განსჯის №16? მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ „ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესია“-ო.

შაბაოს, ღამის 3 საათზე რამდენიმე შეიარაღებული ყაზახი შეუარდნენ სახლში ბ. ილიკო ხეთერელს და წინადადება მისცეს გატყუოლოდ გარეთ მათ. ხეთერელს ვარი განუცხადებია გარეთ გაყოლოაზე და ამისათვის ყაზახებმა სასტიკად სცემეს მას. ყვირილზე და წივილ-კვილზე მიცვიდნენ მეზობლები, რის შემდეგაც ყაზახები გამოვიდნენ გარეთ, და არხეინათ გაუდგნენ გზას.

კვირას კათოლიკეთა ეკლესიაში ერთ პატროთაგანს სამი საათი უქადაგებია იმის შესახებ, უნდა კითხულობდეს ხალხი პროკლამაციებს, თუ არაო? ქადაგება მით დაუთავებია პატერს, რომ ურჩევია სამწყოსთვის არც რევოლიუციონერები და არც მათ მიერ გამოცემული ფურცლები ახლოს არ მიიკაროთო.

როგორც სვირიდან გატყუბინებენ, იქაური მღვდლები ყოველ ხერხს ხმარობენ თურმე, რომ რამენაირათ ისეთაც გაქივრებულ და გადატაკებულ გლეხებს გადაახდევინონ სამი წლის დრამა. დიდ დახმარებას უწევენ მღვდლებს სოფლის წურბელები ბ. ანტონ სულაქველიძის მეთაურობით.

ქუთაისის სატუსალოში დღემდის სულ 468 ტუსალი იმყოფება, მათ შორის 126 პოლიტიკური დამნაშავეა, პოლიტიკურ დამნაშავეთა შორის არიან ბევრი ისეთი პარტი, რომლებიც იანვრის აქეთ ზიან ციხეში და ჯერ მათ საქმეს არა ეშველა რა.

კადეტებმა და სათათბიროში უმრავლესობასაც ისინი შეადგენდნ. სათათბიროს დახასიათება ეს უმთავრესათ კადეტების დახასიათებაა, თუ სათათბირომ საერთოთ წინ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ეს კადეტების საქმეა, რადგანაც მათი ხმა სხვების ხმას ჩრდილავდა. (რაც შეეხება ჩვენ ფრაქციას ის გვიან შედგა მაგრამ მნიშვნელობა დიდი ჰქონდა). პირველი დიდი ნაბიჯი სათათბიროს მხრით იყო გადადგმული 13 მაისს. თითქმის მთელმა სათათბირომ მოითხოვა სრული ამნისტია, სამხედრო და გაძლიერებული დაცვის წესების მოხსნა, საყოველთაო საარჩევნო უფლება; სახელმწიფო, საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო მიწების უფასოთ ჩამორთმევა და გლეხებისათვის გადაცემა; რაც შეეხება კერძო მსხვილ მემამულეთა იმათი ძალით ჩამორთმევა საპართლიან ფასებში და გლეხებზე გადაცემა სასარგებლოთ. ამის პასუხათ მეფის მთავრობამ 13 მაისს წაიკითხა თავის პასუხი, საცა ნათქვამია, რომ სანამ ჩვენ ვიქნებით არ იქნება არც ამნისტია, არც სამხედრო წესების და გაძლიერებული წესების მოხსნა, მით უმეტეს კერძო საკუთრების ჩამორთმევა და გლე-

შევა რ დ ე ნ ი .

პროვინცია .

დილაა, დილა, ღამაზი, მზე უხვათ აფრქვევს სხივებსა, გულზე აქარავს ქვეყანას, ვით მარგალიტის მძივებსა.

მალლა, ჰაერში, შევარდენს ფრთა გაუშლია, სრიალებს, თან სხვებსაც იწვევს, უძახის მასავით მედგარ ფრთიანებს.

მდერის: „შემოკრბით, ფრინველნო, ხელი ხელს მივცეთ ძმურათა, მალალ მთისაკენ გავსწიოთ უშიშრათ, გაბედულათა.“

და იქ ჩვენს მტარვალს—არწივსა მივუხდეთ, დავცეთ თავზარი, ფრთა შევაკვეცოთ უღმობელს, დღე გავუთენოთ საზარი!

კმარა, რაც გვტანჯა, გვაწამა და ინადირა ჩვენზედა, მწარეთ გვაკენესა, მღუღარე ცრემლი გვადინა თვალზედა.

აწ ჩვენც მივაგოთ სანაცვლო! ეს თვით ბუნების წესია: ყველამ ის უნდა მოიმკოს, რაც თვითვე დაუთესია.

მაშ, მო, შემოკრბით, ფრინველნო! ძალი ძალს შეუკავშიროთ, შევმუსროთ ჩვენი მტარვალი, სამუდამოთ გავანადგუროთ!

რომ შემდეგ თავისუფლათა ვცხოვრებდეთ ყველა ფრინველი, უშიშრათ დავნავარდობდეთ, არავინ გვყავდეს მჩაგვრელი.“

ასე იმდერის ფრთა მარდი, ვარს იკრებს ტოლებს მრავალსა, რომ შეერთებულ ძალ-ღონით თავზარი დასცენ მტარვალსა.

მზე-კი კაშკაშებს, ლაჟვარდში, აფრქვევს და აფრქვევს სხივებსა, გულზე აქარავს ქვეყანას, ვით მარგალიტის მძივებსა.

ვ. ჩახ-რუხაძე.

დ. ლანჩხუთი. ხალხი მოძრაობს... ცხოვრების პირობებს აღმჯობესებს, მაგრამ არ სძინავს აგრეთვე მთავრობის მოხელეებსაც; იგინიც რაც შეიძლება ცდილობენ ხალხს სული და გული დაუხმონ, მოუწამლოს ყოველივე მისწრაფება დიდი მომავალისა. ასეთ მოქმედების ფაქტებს აუარებელს გვანახებს ყოველგან რუსეთის ბიუროკრატიის გახრწინილი და სულმდაბალი თაყვანისმცემელი; ისინი ცდილობენ რამენაირად ხალხი „გააბოგანონ“ ხელოვნურად, კარები დაუკეტოს ნორჩ-ახალგაზღვების ტაძარს, სკოლას.

ასეთივე ნაირად მოქმედებს ქუთაისურ მცხოვრებლებსათვის კარგა ცნობილი ვაჟბატონი ანდრია (იაშა) დავითისძე მიქიაშვილი, რომელიც ნოემბერში სოციალისტ-რევოლიუციონერებმა, ქუთაისში ასისთავად ამოიჩინეს, მაგრამ მან ბოქაულობა აირჩია და გურიაში, ალიხანოვის წყალობით, გვესტუმრა.

სოფ. ლანჩხუთში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის, მის გამოა ყოველდღე ხულიგანური მოქმედების ნიმუში, იაშას წყალობითაა აგრეთვე დღეს რომ ლანჩხუთის სამოქალაქო სკოლის სასწავლებელში ასი ცხენოსანი კახაკია დაბანაკებული, რომელმაც სკოლა კახარმად გადაქცია ხოლმე. მაგრამ სასწავლებლის ინსპექტორმა დებეშვიტი დაუგზავნა უფროსებს: „სკოლა ყაზარმად გადაგვიქციესო“ და იმათაც მოწყალე თვლით გადმოხედეს. მიქიაშვილს ბრძანება მოუვიდა სკოლა კახაკები-სავან განათვისუფლეთ და სხვანაირად დააყენეთო.

ამისათვის ბოქაულმა მიქიაშვილმა 9 ივლისს მოიწვია კრება-ყრილობა, ყრილობას ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო. ყრილობაზე თვითონ ბო

ქაულმა არ ინება გამოსვლა, ხოლო რაც სათქმელი ქონდა, მამასახლისის მიანდო გამოსაცხადებლად. მამასახლისმა, ბრძანებისამებრ, მოსთხოვა ხალხს „კონიუშნის“ ან აგება, ან სადმე დაქირავება, სახლების შოვნა და სხვები, მაგრამ ხალხმა ლაპარაკიც არ აცალა და შემდეგი უთხრენ: „ჯარი არც მოგვიყვანია, არც გვესაქირავება და როგორც უსარგებლო „ყურმოჭრილ“ კაპეიკს ვერ გავიღებთო“. შემდეგ მამასახლისმა ხალხს გააცნო ოზურგეთის მაზრის უფროსის—ტატიშვილის „რეფორმატორული“ მოღვაწეობის ნიმუში. „რეფორმაში“ მაზრის უფროსი ხალხს ნებას აძლევს თითო-სოფელში ამოიჩინონ 30-40 კაცი, რომელნიც ყოველივე ღონეს იღონებენ ქურდ-ბაცაცობა მოსპონ და სოფლისთვის მავნე პირები პოლიციას გადაეცეს გასასამართლებლად. ხალხმა შემდეგი უპასუხა: „ვიწინად ჩვენი მიზანია მოვსპოთ ყოველივე ძარცვა-გლეჯა, გავაზოოდ ჩვენთვის მავნე პირები, ამისათვის ჩვენ საჭიროდ მივვარნია, თუ კი მაზრის უფროსს სურს თავის „რეფორმის“ განხორციელება, გაიყვანოს სოფლიდან კახაკები, რომლებიც სათავეში უდგანან ყოველივე ძარცვა-გლეჯას, მოგვეცეს თავისუფლება კრებისა, სიტყვისა, გარანტია პიროვნების, ბინის, რომ თავისუფლად შეგვეძლოს ლაპარაკი და გასამართლება საჯაროდ მავნე პირებისა“ და სხ. შემდეგ მამასახლისმა აცნობა ბოქაულს მიქიაშვილს მოწერილობა ნამესტნიკისაგან, რაშიაც ნამესტნიკი მოითხოვს ეკლესიაზე დააყენოს სოფელში თავის ხარჯით ღამ-ღამობით ორი დარაჯი, ამაზე ხალხმა უპასუხა: „ჩვენ თითონ ვიცავდით ამდენხანს ეკლესიას და ვცდებით რომ შემდეგშიაც ჩვენ დავიცვათ, იცოდეს ნამესტნიკმა, რომ

ჩვენ არა მარტო ნაკლებ პატივს ვცემთ ეკლესიას“.

ამის შემდეგ კრება მოხდა, რომელშიც მამასახლისმა ხალხს გააცნო ოზურგეთის მაზრის უფროსის—ტატიშვილის „რეფორმატორული“ მოღვაწეობის ნიმუში. „რეფორმაში“ მაზრის უფროსი ხალხს ნებას აძლევს თითო-სოფელში ამოიჩინონ 30-40 კაცი, რომელნიც ყოველივე ღონეს იღონებენ ქურდ-ბაცაცობა მოსპონ და სოფლისთვის მავნე პირები პოლიციას გადაეცეს გასასამართლებლად. ხალხმა შემდეგი უპასუხა: „ვიწინად ჩვენი მიზანია მოვსპოთ ყოველივე ძარცვა-გლეჯა, გავაზოოდ ჩვენთვის მავნე პირები, ამისათვის ჩვენ საჭიროდ მივვარნია, თუ კი მაზრის უფროსს სურს თავის „რეფორმის“ განხორციელება, გაიყვანოს სოფლიდან კახაკები, რომლებიც სათავეში უდგანან ყოველივე ძარცვა-გლეჯას, მოგვეცეს თავისუფლება კრებისა, სიტყვისა, გარანტია პიროვნების, ბინის, რომ თავისუფლად შეგვეძლოს ლაპარაკი და გასამართლება საჯაროდ მავნე პირებისა“ და სხ. შემდეგ მამასახლისმა აცნობა ბოქაულს მიქიაშვილს მოწერილობა ნამესტნიკისაგან, რაშიაც ნამესტნიკი მოითხოვს ეკლესიაზე დააყენოს სოფელში თავის ხარჯით ღამ-ღამობით ორი დარაჯი, ამაზე ხალხმა უპასუხა: „ჩვენ თითონ ვიცავდით ამდენხანს ეკლესიას და ვცდებით რომ შემდეგშიაც ჩვენ დავიცვათ, იცოდეს ნამესტნიკმა, რომ

რევოლიუციის მსხვერპლი. გაზ. „ტრ. ჟ.“-ში შემდეგი წერილია მოთავსებული: „27 ივნისს პეტერბურგში მიუღიათ წერილი მ. ა. სპირდონოვას ერთ თანამგზავრთაგან, რომლებიც ნერჩინსკში იგზავნებიან. თუმცა მთავრობა ცდილობს არავის გააგებინოს ტყვეებიანი მისვლის მატარებლის დრო ამა თუ იმ სადგურზე, მაგრამ ყოველივე ცდა უნაყოფოთ რჩება და თითქმის ყოველს სადგურზე „სპირდონოვას მატარებელს“ (ამ სახელით მონათლეს მატარებელი ჟანდარმებმა) ხალხი ალტაცებით ეგებება. ხვდებიან ჯგუფ-ჯგუფათ ყვავილებით და სხვა საჩუქრებით. თუმცა ყოველ სადგურზე ვერ ახერხებენ დამხდურები ლაპარაკს პოლიტიკურ დამნაშავებთან ჟანდარმების წყალობით, მაგრამ სამარაში მოახერხეს მოლაპარაკება ბიშინკოსთან. მგზავრები მხნეთ და მხიარულად არიან. მხოლოდ სპირდონოვას ახველებს და გრძობს ძლიერ გულის ტკივილს.

პეტერბურგში დაუჭერიათ ნოე ჟორდანიას მიერ გამოცემული ფურცელი „სახელმწიფო სათათბირო კახაკების მდგომარობის გამო“ („ტ. ჟ.“)

ს. ვოჟინის (ოლონ. გუბ.) გლეხებმა საყვედური და უნდობლობა გამოუცხადეს თავის დებუტატს ბელოუსოვს პროვინციის ჯგუფის მიმხრობისათვის და აგრეთვე მის მიერ შეტანილი განცხადებისთვის, თითქოს ოლონეციის გუბერნიის გლეხები კმაყოფილი იყოს არსებული

ხებზე გადაცემა. ამ დღიდან სათათბიროსა და მეფის მთავრობას შორის ხიდი ჩატყდა. სათათბირომ სამინისტროს თავის უნდობლობა გამოუცხადა და მოითხოვა მისი დაუყოვნებლივ გადაყენება. მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ მიბძანდებოდნენ და სამინისტროს სათათბიროს უმრავლესობიდან მოიწვევდნენ, მარა არ იქნა. მთავრობამ მიჰყო ხელი თავის ძველ პოლიტიკას. სადაც კი ბნელი ძალები იყო, მოუწოდა „პაგრომების“ გასაწყობათ. პირველი პაგრომი ქალაქ ვოლოგდაში გაიმართა. ამაზე მინისტრებს პასუხი მოთხოვეს; იმათ თავის მართლება იწყეს: „ჩვენი რა ბრალია, ხალხია წინააღმდეგი რევოლიუციონერების“. ასეთი პასუხი სათათბიროს ვერ დააკმაყოფილებდა და მინისტრი უკან გაისტუმრეს, თან მოაგონეს, რომ სატუსალოში უნდა მიბძანდეთო. „პაგრომებთან“ ერთათ გაუსვეს ხელი სიკვდილით დასჯას მცირე წლოვანთა, მოხუცთა ყოველად უღანაშაულო ადამიანთა. სათათბირო მოსვენებას არ აძლევს მინისტრებს, ყოველ სიკვდილით დასჯის შესახებ შეკითხვა შეკითხვაზე შეაქვს. სამხედრო მინისტრი თვითონ არ კადრულობს მო-

ბრძანებას, თავის მაგიერ გზავნის სამხედრო პროკურორს პავლოვს. ის ყოველად ურცხვით, უტიფრად მიდის და ხალხის წარმომადგენლებს ელაპარაკება: სანამ არსებობს კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ, მე ვასრულებ ამ ჩემ ჯალათურ მოვალეობასო. პროკურორს პავლოვს აშკარათ ეტყობოდა, რომ ადამიანის სიკვდილს ისე შეჩვეოდა, როგორც მეყასზე პირუტყვების კვლას შეჩვეულია ხოლმე, ეს მის ჩვეულებრივ სასაიამოვნო მოვალეობათ გამხდარიყო და როდესაც მეორეთ მობძანდა, სათათბირომ ერთხმით შეეცირა: ჯალათო, არ გვსურს შენი ლაპარაკი, მიბძანდიო. ასეთმა შეძახილმა ის იძულებულ ჰყო დარბაზი დაეტოვებია. ვოლოგდის „პაგრომი“ ბელოუსტოკის „პაგრომი“ მოყვა. სათათბიროში გავზავნილმა წევრებმა ცხად ჰყვეს, რომ ბელოუსტოკის აწიოკება (მოკლეს 100-მდე ებრაელი და დასაქრეს რამოდენიმე ასი კაცი) მოწყობილია ადგილობრივი მთავრობის მიერ მეფის სამინისტროს ნებადართვით. საზოგადოთ დიდი შუქი მოჰფინა პაგრომების ისტორიის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილმა ამხანაგმა თავადმა ურუსოვმა; შინაგან

საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში თქვა მან, არსებობს ცალკე ოთახები, სადა არის საიდუმლო სტამბა პოკლამაციების საბეჭდავთ; იქ მხადდება „პაგრომი“, სად რამდენი კაცი უნდა იქნეს მოკლული 10—100—1000 თუ 10000, ეს წინ და წინ წყდება. ამ საქმისთვის მუდმივ ზედამხედველათ არის ჟანდარმის აფიც. გვარად კომისაროვი და თავის სიტყვა შემდეგით დათავა: „სანამ მთავრობის სათავეში იქნებიან აღზრდილ ჯანდარმები და გოროდოვოები, რწმენით კი „პაგრომში“ პაგრომებს ბოლო არ მოვლება“. ზომიერი ნაწილიც სათათბიროსი, რაც დრო გადიოდა, მეტ გაბედულებას იძენდა; ისინი უფრო და უფრო ბრახდებოდნენ მთავრობის ურცხვი ყოფაქცევით. ამ გარემოებით აიხსნება, რომ სათათბირომ ერთ ხმით მიიღო სიკვდილით დასჯის გაუქმება. მოთმინების ფილა სათათბიროს წევრებს მაშინ ავესოთ, როდესაც მეფის მთავრობამ აშკარათ ავტოციას მიმართა მთელი სათათბიროს წინააღმდეგ. პირველათ გუბერნატორებმა დაუწყეს კიცხვა სათათბიროს. ისინი გაბრაზდნენ სათათბიროს 14 მუშის მოწოდების გა-

მოსვლით, საცა მუშა დებუტატ და რუსეთის პროლეტარიატს ჟ. ბა. სოც. დენ, რომ მთავრობამ სათათბიროს მოთხოვნაზე შესახებ ამნისტ კლასებზე ხედრო და გაძლიერებულიაქმეში და წესების მოხსნისა, მიწის ჩა მთელი ვისა ყველაფერზე უარი თქვაველთა ბეონატორებმა იგრძენეს, რაქობს: „ნავდა მართალი სიტყვა დებუტატის პირიდან და სამაგიერო პროკლამაციები გამოუშვეს, საცა, ვითომ აბათილებდნენ მუშების სიტყვებს, სათათბიროს სახელს უტეხდნენ და თან ხალხს გაბედნიერებას პირდებოდნენ. გუბერნატორების მავალითს სამინისტრომ მაშართა: რუსეთის ხალხს აუწყა, რომ სათათბირო კერძო საკუთრების წინააღმდეგია, იმის მოსპობა სურს და თქვენი ვალია ამის წინააღმდეგ ბრძოლა. რაც შეეხება თქვენ უმიწაყულობას ამის დაკმაყოფილებას მთავრობა იღებს თავის თავზე; სახელმწიფო მიწები მოგეცემათ ხელსაყრელ პირობებში, მეამულეების მიწების ყიდვა საღლეხო ბანკის დახმარებით შეგიძლიათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ისევ ძველებურათ დარჩებით მემამულეების ყმათო. ამისთანა უნიადაგო და ურცხვმა გამოლაშქრებამ სათათბი-

რევიმით. საყვედური გაუგზავნეს სხვა დეპუტატის საშუალებით და თხოულობენ ბელოუსოვისაგან უარყოს მის მიერ თქმული სიტყვები.

(„ტრ. უ.“)

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! იმედი მაქვს, თქვენს პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში შემდეგ წერილს მოათავსებთ: ამ წლის 7 ივლისს, საზოგადო კითხვებზე კამათის დროს მე და ბ. კვანტრიშვილს შორის უსიამოვნება მოხდა. მე მეტად ამაღლევა ბ. კვანტრიშვილის სიტყვებმა ჩემს (და საზოგადოათ მთელ ს.-დ.) ვითომ „თვითმპყრობელობის“ შესახებ. აი ამ აღლვების შედეგი იყო ის, რომ ბ. კვანტრიშვილს მოქმედებით შეურაცყოფა მივაყენე. სამაგიეროდ შეურაცყოფილმა დღეში გამომიწვია... მაგრამ შეურაცყოფილი თავდაყარობის დასაკმაყოფილებლად, ამნაირ საშვალეებს მე ვთელი ყოვლად უფარგისათ არა მარტო პარტიული და პრინციპიული თვალთახედვის ისრით არამედ უბრალო სალი-გონიერების მიხედვითაც. ხოლო ამავე დროს, რა თქმა უნდა, ვსწრაფობ ჩემს იმ დღინდელ საქციელს ადამიანის პიროვნების დამამცირებლად და გაკიცხვის ღირსად და აი იმიტომ ბ. კვანტრიშვილის წინაშე ბოდიშს ვიხდი და მეტად ვწუხვარ, რომ ასეთი ამბავი მოხდა ჩვენს შორის.

ბ. ლოლიძე.

დებულები.

(პეტერბურგის დეპუტატთა სააგენტოსაგან)

9—10 აგვისტო.

უმართებლეს სენატს. უმაღლესი უქაზი სახელმწიფო სათათბიროს და თხოვნის და ხელმოყრედ ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ თანახმად (105 სტ. ძირითად კანონთა კრებულსა გამოცემ 1905 წ.) „გებრძანებთ: დათხოვით სახელმწიფო სათათბირო და ხელმოყრეთ მოიწვიოთ იგი 1907 წლის 20 თებერვალს სათათბიროს ხელმოყრეთ მოწვევის შესახებ, გამოცემულ იქნება ჩემმიერ განსაკუთრებულ საზოგადოებრივად დებულება. უმარ-

თებლესი სენატი არ დასტოვებს აღუსრულებლად მოხსენებულ განკარგულებას. ნამდვილედ ხელმოწერილია მათის იმპერატორებით უდიდებულესობის ნიკოლოზ.

პეტერბურგში. 8 ივლისს 1906 წ. უმართებლესი სენატისადმი ბრძანების თანახმად, გამოცხადებულია სამხედრო წესები ბერდიჩევის, ვასილკოვის, ზენიშორდის, კანევის, ლიპოვეცის, რადომისლის, სკვირის, ტარაშჩის, უმანის, ჩერკასის, ჩიგორინის და კიევის მაზრებში. პეტერბურგის გუბერნიის 8 ივლისიდან შემოღებულია გაძლიერებული სამხედრო წესები.

პეტერბურგში. საოლქო სასამართლომ აგრარული არეულობის მოთენისთვის ვოლჩანის მაზრაში, გამართლა ორი, ორს მიუსაჯა კატორგა; ერთს 6 წლის და მეორეს 4 წლით. ოცს გადაუწყვიტა 15 წლით ტუსაღთა გამასწორებელ განყოფილებაში გაგზავნა.

პეტერბურგში. უმრავლესობა ყოფილი დეპუტატებისა განურჩევლად პარტიებისა გაემგზავრენ დღეს ფინლიანდის რკინის გზით. იმათ განზრახვა აქვთ მოიყარონ თავი ფინლიანდიაში მოსალაპარაკებლად დუმის დათხოვნის შესახებ.

სამაჩყანდა. საღამოს 6 საათზე, საგრძობლად, მიწა იძრა.

მატაგა. ბოროტ-გამზრახველთა ბრბო 40 კაცამდე დაეცა სათემო სამმართველო; გატარცეს კასა. საქმის საწარმოა ქალღღებები მიხიმიხის.

მასკოვა. გაანთავისუფლეს 35 ადმინისტრაციული ტუსაღნი.

ადესა. ქუჩაზე მოკლეს ყაზახი. მკვლელები მიიმაღენ.

მატაგა. შეიარაღებული რაზმელები დაეცნენ პოლიციის „დაზორს“; მოკლეს ერთი საერობო დარაჯი, დასჭრეს ორი ურიაღნიკი.

ადესა. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაატყვევეს უკიდურესი პარტიის წევრები.

გრაზნი. სლოშინსკის მაზრაში გლეხებმა მუშაობაზე ხელი აიღეს მემამულეების ადგილებში; თხოულობენ ორ მანეთამდის სამუშაო ქირის მომატებას.

ადესა. ნავთსადგურის მუშების გაფიცვა გათავდა, ორი კვირით მოხზაარ შერიგების გამო. ბირჟაზე ქონდათ თათბირი ვაჭრებს საბოლოოთ შერიგებისთვის კითხვის გადასაწყვეტათ. სხდომაზედ სხვათა შორის დაადგინეს აღძრან გენ.-გუბერნატორის წინაშე შეუძავლობა მიეცეს მუშებს ნება კრების გასამართავად.

მატაგა. ტეგანტ ვოლპერის მაზრაში, თავის მამულის მახლობლად მოკლეს ბარონი კარერგაუზენი.

თბილისა. ორმა უცნობმა ქაიშენევის ღვინის სარდაფში შეაგდეს 2 ბომბა მძიმეთ დაჭრილია კასირი, რომელიც ყიღდა სარაჯევის არაყს მიუხედავად გამოცხადებული ბოიკოტისა. გენ. გუბერნატორმა გაფრთხილება მისცა ქალაქის თავს: საბჭოს სხდომებზედ არ მისცეს ნება გარეშე პირთ, განსაკუთრებით უმუშევრათ დარჩენილთ დაესწრონ; წინააღმდეგ შემთხვევაში, შენობაში ჯარს შემოვიყვანო: გერუსიდან გვატყობინებენ სომხების სოფელი კლადნიერი აღგვილია პირისაგან ქვეყნისა. მოკლულია 30 სომეხი. თათრებმა ალყა შემოარტყეს აკიაკს და პიუნინს.

პეტერბურგში. სათათბიროს მდივნათ ყოფილი, თავადი შახოვსკი დღეს ტავრიდის სასახლეში განკარგულებას მოელოდა სახელმწიფო მდივნისაგან, სათათბიროს საქმის ქალღღებების, სახელმწიფო კანცელარიის მოხელეებზე გადაცემის შესახებ, მაგრამ, რადგან ნაშუადღევს 3 საათამდის სახელმწიფო კანცელარიიდან არავინ არ მოვიდა საქმის ქალღღებების მისაღებათ, თ. შახოვსკი წა-

ვიდა ტავრიდის სასახლეში. ავადმა შახოვსკიმ პეტერბურგის სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნა მისდა მოულოდნელად მოხდა სათათბიროს დათხოვნის ამბავი თავად შახოვსკის მხოლოდ ცხრა ივლისს დილით 4 საათზე გაუგია. ქალაქში მშვიდობიანობაა.

პეტერბურგში. დღეს სახელმწიფო სათათბიროს შენობის შესასვლელები დაკეტილია. შესასვლელ კარებს იცავს პოლიცია და ჯარი არ ქაჯანებს ხალხთა ბრბო არც შპალერის და არც ახლო-მახლო ქუჩებზედ. გარეგნული სახე სატახტო ქალაქისა მოგვაგონებს ზაფხულის უქმე დღეს, როცა ქუჩები დაცარიელებულია და ყოველ გვარი მოძრაობა მიწყნარებულია. წარმომადგენლებს სახელმ. სათათბიროს შენობაში არ უშვებენ. მხოლოდ სათათბიროს თავმჯდომარეს მურომცვეს, ორ მისს ამხანაგს, — მდივანს, ორ მის თანაშემწეს და ბექვიდითი სიტყვის ბიუროს თავმჯდომარეს აქვს უფლება შევიდნენ სათათბიროს შენობაში. ასეთია პოლიციის განკარგულება. დღეს მოელიან პოლიციისაგან ცხელ-ცხელ განკარგულებას, რადგანაც ბევრი წარმომადგენლების დოკუმენტები, წერილები ინახება სათათბიროში. სათათბიროს სრულიად დაცარიელებულია.. არ არიან შიგ არც დეპუტატები და არც სათათბიროს მოხელენი. ნაშუადღევს ორ საათზე გააღვიძეს სათათბიროში მყოფი ბუფეტის მოსამსახურენი და აართვეს საკუქნაოს გასაღები.

თბილისა. სოფელ ეწერში მოკლეს მემამულე აზნ. თავებრიძე.

კერჩი. არეულობის თავიღვან ასაციდნათ, რაც შესაძლოა გამოიწვიოს სათათბიროს დათხოვნამ, ქალაქში წესიერების დამცველთა რაზმებს მოუმატეს.

უნაღმდეგ თვით გენერალი, ო აკადემიის პროფესორი კარავაევი მოთმინებიდან გაადა სათათბიროში ასეთი დუმი წარმოათქმევინა: მე „დინჯს, ალგაზდა კაცს მთავრობის განზადებამ მოთმინება დამაკარგვინა, გამაგვრა. მე მოვიტხოვ, რომ დაუყოვნებლივ იქნეს მთავრობის წინააღმდეგ გამოქვეყნებული განცხადება, საცა ნათქვამი იქნება, რაც სურს ხალხისთვის სათათბიროს.“ ამ სხდომაზე არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა მოხსენება ხალხის გასაცნობათ სათათბიროს ნამდვილ განზრახვაზე. ამ თვის ექვს დეპუტატმა პეტრუნკევიჩმა წარადგინა მოხსენება, ძლიერ მოკრძალებით დაწერილი. ამის გარჩევამ სათათბიროში მთელი ალიაქოთი გამოიწვია. სოციალდემოკრატიული ფრაქცია და მშრომელთა ჯგუფი მოითხოვდა აშკარა სიმართლე ეთქვა სათათბიროს ხალხისათვის, არაფერი არ დაემალა მისთვის მთავრობის შესახებ. ამგვარი ნაბიჯის გადადგმა ვერ გახედეს კადეტებმა. როგორც ვერ გახედეს წინათ, როდესაც აგრარული საკითხის შესახებ იყო კამათი. მშრომელმა ჯგუფმა წინადა-

დება შეიტანა, რომ დაუყოვნებლივ დაარსდეს მაზრებში, ვოლოსტებში და გუბერნიებში აგრარული კომიტეტები; ამ კომიტეტებმა დემოკრატიულ ნიადაგზე არჩეულებმა უნდა გამოიმუშავონ პროექტი, თუ რა რიგათ იქნენ დაკმაყოფილებული გლეხები მიწით. ვერ გახედეს კადეტებმა სოციალდემოკრატიულ ფრაქციის წინადადების მიღება, როცა მათ მოითხოვეს მთელი სამინისტროს პასუხის გებაში მიცემა; ვერ გახედეს კადეტებმა, კიდევ სოციალდემოკრატიულ ფრაქციის მიერ წამოყენებული წინადადება, რომ 15 მილიონი მანეთი დამშეულ ხალხისათვის გადადებული თვით სათათბირომ იღვას თავის თავზე იმის განაწილება და არა გორემიკინის სამინისტრომ, რადგანაც ადმინისტრაცია, როგორც წინათ, ისე ახლაც 100 მანეთიდან 80 მანეთს საკუთარ ჯიბეში ჩაიდებს. და მიუხედავად ასეთ გაუბედობისა ერთი ნაბიჯი ხალხისკენ გადაგმული საკმაო იყო, რომ მთავრობის რისხვა დავმსახურებინა. ეს ნაბიჯი იყო მთავრობის აგიტაციის წინააღმდეგ და თავის განცხადების წამოყენება. სათათბირომ მიიღო პეტრუნკევიჩის პროექტი, გან-

ცხადება, საცა ნათქვამია: „10 ივნისს სამინისტრომ გამოაქვეყნა მთავრობის ცნობა, რომელშიაც ის აცხადებს თავის მოსაზრებას მიწების კანონების შესახებ. ეს ცნობები სრულიათ იმედს უკარგავს ხალხს, რომ მიწის საკითხი კანონების გზით გადაწყდება როდისმე. სახელმწიფო დუმა ცდილობდა და ცდილობს მშვიდობიანი გზით განახორციელოს ახალი წეს-წყობილების დამყარება და იმედი აქვს, რომ მიწების შესახებ კანონების კითხვის ნამდვილი ახალი განმარტება დაამშვიდებს ხალხს იმ იმედით, რომ მიწების კანონების გამოცემა ჩქარა გადაწყდება. ამიტომ სახელმწიფო დუმა საჭიროთ სცნობს უწინარეს ყოვლისა მოაგონოს ხალხს, რომ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ მთავრობის არავითარ მოსაზრებას კანონის ძალა არა აქვს, უკეთუ ის დუმისაგან მოწონებულ არ იქნა. ნ მისს ხელმწიფის სიტყვაზე სახელმწიფო დუმამ შემდეგი სიტყვები გამოსთქვა მიწების კითხვების შესახებ: „მცხოვრებლების უმრავლესი ნაწილი—მშრომელი გლეხობა, გულის ფანცქალით მოელის მიწის შესახებ საკითხის გადაწყვეტას

და რუსეთის პირველი სახელმწიფო დუმა უღალატებდა თავის მოვალეობას, რომ მას არ შეემუშავებია კანონი ამ აუცილებელ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ. სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო სამონასტრო, საეკლესიო და კერძო მიწების ძალით ჩამორთმევის გზით.“ —მაგრამ ხალხის წარმომადგენლებს ამაზე მინისტრებმა უარი უთხრეს. სახელმწიფო დუმამ უნდობლობა გამოუცხადა სამინისტროს და თითონ შეუდგა კანონების შემუშავებას. განსაკუთრებული კომისია, რომელიც დუმის ასი წევრისაგან შესდგება, ადგენს ახლა ამ კანონს. ამ კანონს საფუძვლათ დაედება სახელმწიფო დუმის მოსაზრება, რომელიც ხელმწიფე იმპერატორისთვის მიწების მიცემა სამართლიან ვამოსყიდვით. იმ კითხვის შესახებ, თუ რომელი მიწები არ უნდა ჩამოერთვას, კომისიამ ის აზრი გამოსთქვა, რომ არ უნდა ჩამოერთვას წვრილი საკუთრები ლ სხ. ამ ახალ კანონების საფუძველს სახელმწიფო დუმა არ გადაუხვევს და არავითარ წინააღმდეგ მოსაზრებას ყურადღებას არ მიაქცევს“. ამ განცხადებამ უნდა ვიფიქროთ, აიძულა მეფე სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნაზე. 1—ლი.